

ა. შიშონკომ“ („ლელო“); „უენდენმა სამი ოქრო მოიხვეჭა“ („ლელო“); „სსრ კავშირის ჩოგბურთელთა ჩემპიონატზე ოქროს მაძიებელთა შორის ჩვენი რესპუბლიკიდან მხოლოდ ა. მეტრეველი შემორჩა“ („სოფლ. ცხოვრ.“); „თავი გამოიჩინეს საბჭოთა მოციგავე ქალებმა... ზოზულიამ (ოქროს მედალი) და ...ამინტოვამ (ბრინჯაო).“ („ლელო“); „ნონას მეოთხე ოქრო“ („თბილ.“ — სათ.); „კლასიკოსების“ (=კლასიკური კიდაობის მონაწილეთა) ხუთი ოქრო („კომ.“ — სათ.)...

ჩანს, უზერხულობის თავიდან ასაცილებლად ცალად ნახმარ მსაზღვრელ სახელებს ოქრო(სი), ვერცხლი(ს), ბრინჯაო(სი) ბრჭყალებში სვამენ. მაგ.: „ეს მისი სარაევოში მოპოვებული მეორე „ბრინჯაოა“. „ოქრო“ და „ვერცხლი“ კი ისევ გდრ-ის წარმომადგენლებს ხვდათ“ („ლელო“); „მედლების ყველაზე დიდი კოლექცია აქვს... ინჟინერ-მთამსვლელ ს. ეფიშოვს, რომლის „კოლექცია“ სულ ახლახანს (!) მეხუთე „ოქროთი“ შეიქმნა“ („ლელო“); „ამ ჯგუფში „ბრინჯაო“ მოიპოვა თბილისელმა მოსწავლემ“ („ლელო“).

ქართული ენის ბუნებას არ შეესაბამება ოდენ მსაზღვრელის, ზედსართავის ხმარება მთელი შესიტყვების ნაცულად.

### პ

**პასუხისმგებელი** — **პასუხსაგები** პარონიმული სახელებია, ფორმით მსგავსნი, შინაარსით განსხვავებულნი. ენაში მათი მოხმარების სფეროები მკვეთრადაა გარჩეული.

**პასუხისმგებელი** აქტიური მიზნობაა, ნიშნავს: ვისაც პასუხისმგებლობა აკისრია, ვინც პასუხს აგებს. არსებობს გამოთქმები: **პასუხისმგებელი პირი**, **პასუხისმგებელი მუშაკი**, **პასუხისმგებელი მდივანი**, **პასუხისმგებელი რედაქტორი**...: „ვამზადებთ ამომრჩეველთა შეხვედრას აღმასკომის **პასუხისმგებელ ხელმძღვანელ მუშაკებთან**“ („თბილ.“); „სიტყვით გამოვიდა ჟურნალ „პიონერის“ **პასუხისმგებელი რედაქტორი**“ („ახ. კომ.“)... **პასუხისმგებელი**, წესისამებრ, მხოლოდ ადამიანის (ადამიანთა) სახელს შეიძლება დაუკავშირდეს. წინადადებაში — „მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო **პასუხისმგებელი** და ანგარიშვალდებულია მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წინაშე“ („სსრკ კონსტ.“) — ამ სიტყვისთან დაწყვილებულ არსებით სახელში **საბჭო** რეალურად ადამიანთა ჯგუფი იგულისხმება და ამიტომ აქაც ბუნებრივი და სტილისტიკურად სწორი შეხამება გვაქვს. სწორია შესიტყვება **პასუხისმგებელი ფერმენტიც** ქვემოთ დამოწმებულ წინადადებაში, რადგან აქ მსჯელობის შინაარსის მიხედ-

დვით ფერმენტის ერთგვარ გაპიროვნებასთან გვაქვს საქმე: „...ბიოორგანული ქიმიის ინსტიტუტში... დადგინდა უჯრედის ცხოველქმედების ენერგოუზრუნველყოფისათვის **პასუხისმგებელი ერთ-ერთი ძირითადი ფერმენტის** სრული ქიმიური სტრუქტურა“ („კომ.“).

**პასუხისმგებელი** საყრდენი ფორმაა აბსტრაქტული სახელისათვის **პასუხისმგებლობა**, რაც ნიშნავს ვალდებულებას პასუხი აგონ ჩადენილი საქციელის, ჩადენილი მოქმედების გამო. პასუხისმგებლობაც მხოლოდ ადამიანის თვისებაა, ადამიანის უნარია: „მეცნიერ ისტორიკოსს უნდა ახსოვდეს ის **წნეობრივი პასუხისმგებლობა**, რომელიც მას აწევს“ (ივ. ჯავახ.); „**ვიხსნი პასუხისმგებლობას**, თუ იმ კაცს... არ მომაშორებთო...“ (ს. შანშ.); „მნიშვნელოვნად გაიზარდა თეატრის შემოქმედი მუშაკებისა და დრამატურგების **პასუხისმგებლობის გრძნობა**“ („ლიტ. და ხელოვნ.“)...

**პასუხსაგები** — პასიური მიმღეობაა, ნიშნავს: იმას, რაც პასუხისგებას მოითხოვს, პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ, მეტად მნიშვნელოვანი, განსაკუთრებით სერიოზული, საპასუხისმგებლო. ბუნებრივი გამოთქმებია: **პასუხსაგები უბანი**, **პასუხსაგები ამოცანები**, **პასუხსაგები ადგილი**, **პასუხსაგები მისია**, **პასუხსაგები დავალება**, **პასუხსაგები ეტაპი**, **პასუხსაგები პერიოდი** და მისთ: „საზეინკლო ინსტრუმენტი სატეხი ჩაქუჩით შეცვალა სტ. ორბელიანმა და აქაც ყველაზე **პასუხსაგებ უბანზე** მუშაობდა“ („თბილ.“); „საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს დაევალებათ... მოსავლისათვის ბრძოლის **პასუხსაგები ამოცანების** შესრულებისადმი შემოქმედებითი მიდგომა“ („კომ.“); „აბა, ჰკითხე, როგორ მიაღწია ამ **პასუხსაგებ ადგილს**“ („თბილ.“); „კარგი იქნება, თუ მოვახერხებთ გავიგოთ როგორ ესმის აბიტურიენტს ექიმის მოვალეობა, არის თუ არა მზად... ამ **პასუხსაგები მისიის** შესასრულებლად“ („თბილ.“); „ეს იყო და ეს — თავისებური, ძუნწი შექებაც, ახალი **პასუხსაგები დავალება**“ („თბილ.“); „ახლაც, ჩვენი შრომის და შემოქმედების ამ **პასუხსაგებ ეტაპზე**... დისციპლინის განმტკიცება მთავარი საბრძოლო ამოცანაა“ („კომ.“); „ხელი უნდა შეუწყონ ბავშვის პარმონიულ განვითარებას მისი ცხოვრების ამ **პასუხსაგებ პერიოდში**“ („კომ.“)...

თანამედროვე პრესის ენაში ეს სახელები ძირითადად სწორადაა მოხმარებული, მაგრამ გვხვდება აღრევის შემთხვევებიც. მაგ.: „არ გავუშვათ ნასამართლები და ნდობადაკარგული პირები მატერიალურად **პასუხისმგებელ** [უნდა იყოს: პასუხსაგებ ან საპასუხისმგებლო] თანამდებობაზე“ („გამარჯვ. დროშა“); მას მეტად **პასუხისმგებლური** [უნდა იყოს: საპასუხისმგებლო] **დავალებები** ეძლევა, რომელიც შემდგომად დაიდგინება მითხოვს“ („ჭიათ. მაღ.“); „მას არ

ამინებს მომენტის პასუხისმგებლობა, სიმწვავე“ („სოფლ. ცხოვრ.“)... უკანასკნელი წინადადება ამოღებულია სტატიიდან, რომელიც ეხება ფეხბურთის თამაშს. სწორი ქართულის მიხედვით აქ უნდა გამოგვეყენებინა პასიური კონსტრუქცია — პასუხსაგები. მომენტი თამაშისა პასუხსაგებია, მოთამაშე — პასუხისმგებელი. უკეთესი კი იყო გვეთქვა: ...მას არ ამინებს მომენტის სირთულე, სიმწვავე.

უკანასკნელ ხანს ქართული პრესის (უმეტესად ოფიციალური ინფორმაციის) ენაში ხშირად იხმარება შესიტყვება — პასუხისმგებლობის ნიშნით, რაც ნიშნავს: პასუხისმგებლობით, პასუხისმგებლობის გრძობით; „პლენუმის მუშაობა მიმდინარეობდა ... დიდი მომთხოვნელობისა და პასუხისმგებლობის ნიშნით“ („კომ.“). ამ თითქმის მყარად ქცეული შესიტყვების შინაარსი არასწორად გამოუხატავთ შემდეგ წინადადებაში: „სანამ საბოლოოდ შეადგენდეთ პირად კომპლექსურ გეგმებს, აუცილებელია წინა წლის შრომის შედეგების გულახდილი და პასუხისმგებლური განხილვა [უნდა იყოს: ...შედეგების განხილვა გულახდილად და პასუხისმგებლობის ნიშნით, ან: „გულახდილად და დიდი პასუხისმგებლობის გრძობით]“ („ახ. კომ.“)...

**პედაგოგი — მასწავლებელი.** პედაგოგი წიგნური გზით გავრცელებული ინტერნაციონალური სიტყვაა, მასწავლებელი — მისი ქართული შესატყვისი. ენაში ორივე იხმარება, მაგრამ არა როგორც აბსოლუტური სინონიმები: მათი მნიშვნელობები მხოლოდ ნაწილობრივ ემთხვევა ერთმანეთს და მხოლოდ ამ მნიშვნელობით ხდება კონტექსტში მათი თავისუფალი მონაცვლეობა. სხვა შემთხვევაში მათ გამოყენების სხვადასხვა სფერო აქვთ, ერთმანეთს ავსებენ სხვადასხვა მნიშვნელობათა მიხედვით (ეს ძირითადად ამ ფუქეთაგან ნაწარმოებ სახელებს ეხება) და მხოლოდ მკაცრად განსაზღვრულ სახელებთან ქმნიან ბუნებრივ წყვილებს.

**პედაგოგი** (ბერძ. *paidagōgos*) მასწავლებლის, აღმზრდელის მნიშვნელობით იხმარება. საკუთრივ ქართული წარმოებისაა **მასწავლებელი**, რომელიც ასწავლის ზმნის გაარსებითებული მიმღეობაა (შდრ. ამავე წარმოების მქონე **მატარებელი**). **მასწავლებელი** არის: 1. სპეციალური განათლების მქონე პირი, რომელიც სკოლაში რაიმე საგანს ასწავლის. ამის მიხედვით გვაქვს: ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, მათემატიკის მასწავლებელი, ფიზიკის, სიმღერის, ცეკვის, მუსიკის და სხვ. მასწავლებელი. || ვინც საერთოდ ასწავლის რასმე: ჭკუის მასწავლებელი; 2. რაიმე მოძღვრების შემქმნელი, მამამთავარი; მოძღვარი. მაგ.: „მარქსი და ენგელსი პროლეტარიატის გენიალური მასწავლებლები იყვნენ“ (საბჭ. კავშ. ისტ.).

ამ განმარტებათა მიხედვით **მასწავლებლის**, როგორც ლექსიკური ერთეულის, გამოყენების სფერო უფრო მრავალფეროვანი ჩანს, ვიდრე **პედაგოგისა**, რადგან, გარდა იმ მნიშვნელობისა, რომელიც **პედაგოგისათვის** არის ნიშანდობლივი (მოზარდის აღზრდა-სწავლება), **მასწავლებელს** სხვა მნიშვნელობებიც აქვს (მაგ.: ჭკუის მასწავლებელი; ასევე **მასწავლებელი**, როგორც მოძღვრების შემქმნელი და როგორც ყველასათვის სამაგალითო, მისაბაძი პიროვნება).

არც **პედაგოგისა** და **მასწავლებლის** ჩვენთვის საინტერესო პირველი მნიშვნელობა ფარავს მთლიანად ერთმანეთს, მიუხედავად იმისა, რომ **პედაგოგში** აღმზრდელის სემანტიკა ფიგურირებს უფრო მეტად, ხოლო **მასწავლებელში** კი უპირატესად — სულიერი მოძღვრისა, სალიტერატურო ენაში ეს ორი სიტყვა ერთი და იმავე მნიშვნელობით იხმარება. **პედაგოგიცა** და **მასწავლებელიც** არის აღზრდისა და სწავლების მეცნიერულ თეორიას დაუფლებული პირი, რომელიც, გარდა იმისა, რომ რაიმე სპეციალურ საგანს ასწავლის სკოლაში, მოზარდის ფიზიკურ და ზნეობრივ აღზრდაზედაც ზრუნავს. სწორედ ამ ზოგადი მნიშვნელობით **პედაგოგი** და **მასწავლებელი** თავისუფლად ენაცვლება ერთმანეთს კონტექსტში. მაგალითად: „დაე, მათ თვითონ გადაწყვიტონ, რით უპასუხონ **პედაგოგთა** ზრუნვას, რით გაახარონ საყვარელი **მასწავლებლები**“ („ახ. კომ.“). ასევე: ეს კაცი **პედაგოგია** // **მასწავლებელია**; ეს კაცი **ქარგი**, ცუდი **პედაგოგია** // **ქარგი**, ცუდი, **მასწავლებელია**. (ერთი და იმავე მნიშვნელობით შეიძლება ჩაენაცვლოს ერთმანეთს აგრეთვე **ზმნები პედაგოგობს** და **მასწავლებლობს**, თუმცა ერთის გამოყენების არე ენაში ძალზე შეზღუდულია, მეორე კი თავისუფლად იხმარება).

**პედაგოგისაგან** განსხვავებით, **მასწავლებელს** შეიძლება დამატებაც ახლდეს იმ საგნის (სასწავლო დისციპლინის) სახელის სახით, რომელსაც ასწავლის. მაგ.: მათემატიკის, ფიზიკის, სიმღერის...**მასწავლებელი**. (სიტყვა **მასწავლებლის** ამ თვისებას (სინტაქსურ უნარს) ფუძის — **ასწავლის** ზმნის — სემანტიკა განსაზღვრავს: **ასწავლის** წერას, კითხვას, სიმღერას, მათემატიკას...). ისეთ კონტექსტებში, რომლებშიც საჭიროა სასწავლო დისციპლინის დასახელება, შესიტყვების წევრად არ შეიძლება სიტყვა **პედაგოგის** გამოყენება, მართებულ შესიტყვებას მხოლოდ **მასწავლებელი** შექმნის. არ შეიძლება ითქვას **ქართული ენისა** და **ლიტერატურის**, **მათემატიკის**, **მუსიკის პედაგოგი**; უნდა ითქვას: **ქართული ენისა** და **ლიტერატურის**, **მათემატიკის**, **მუსიკის მასწავლებელი**. როცა კონკრეტული საგანი (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ფიზიკა, მუსიკა...) დასახელებული არ იქნება (ამ დროს

წინა პლანზე ზოგადად პიროვნების პროფესია, საქმიანობა წამოწეული), მაშინ, როგორც ზემოთ ითქვა, პედაგოგი და მასწავლებელი ერთმანეთს თავისუფლად ჩაენაცვლება: ეს კაცი პედაგოგია // მასწავლებელია.

პედაგოგთა წრეში ამ შეზღუდვებს არ ითვალისწინებენ, პედაგოგს პრესტიჟულ სიტყვად თვლიან, ამიტომ აფართოებენ მისი გამოყენების არეს და, ნებისთ თუ უნებლიეთ, ისეთი უმართებულო სიტყვათშეხამებების გავრცელებას უწყობენ ხელს, როგორცაა საგნის პედაგოგი, ინგლისური ენის პედაგოგი, ბოტანიკის პედაგოგი და სხვა.

ამ მოვლენის გამოძახილი ნაბეჭდ პროლუქციაშიც იჩენს თავს. მაგ.: „კაბინეტის დაარსების ინიციატორი და უცელელი ხელმძღვანელია ღირეკტორის მოადგილე და ინგლისური ენის პედაგოგი [უნდა იყოს: მასწავლებელი] ლ. მაჭარაშვილი“ („თბილ.“); „ვაჟა-ფშაველას ამ სიტყვებს ხშირად უმეორებს მოსწავლეებს თბილისის № 1 საშუალო სკოლის ბოტანიკის პედაგოგი [უნდა იყოს: მასწავლებელი] ც. შოშიაშვილი“ („თბილ.“); „ეს არის მაიას დედა, ქალბატონი ნელი, რუსული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი [უნდა იყოს: რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ან: განათლებით, პროფესიით პედაგოგი], ნებისყოფიანი და ენერგიული ქალი“ („კომ.“).

ის სემანტიკური სხვაობები და შეზღუდვები, რომლებიც პედაგოგისა და მასწავლებლის გამოყენებას ახლავს, ნაწარმოებ სახელებთან კიდევ უფრო წარმოჩნდება.

**პედაგოგ-** და **მასწავლებელ-** ფუძეთაგან ნაწარმოებ სახელებს თანამედროვე ქართულში შეხვედრის წერტილები არა აქვთ — ფუნქციები ან სხვადასხვა ფუძეს შორის არის განაწილებული, ან გარკვეული დანიშნულებით მხოლოდ ერთი ფუძისაგან ნაწარმოები სახელები იზმარება. მაგალითად, **პედაგოგ-** ფუძისაგან არის ნაწარმოები **პედაგოგიური** და **პედაგოგიკა** (მეცნიერება აღზრდის, განათლებისა და სწავლების შესახებ). ეს უკანასკნელი (**პედაგოგიკა**) უღვევს საფუძვლად **პედაგოგიკურს**.

**პედაგოგიური** შეიძლება იყოს ნიჭი, უნარი, საქმიანობა, მოღვაწეობა, მუშაობა, მიდგომა, საბჭო, კოლექტივი, ინსტიტუტი, მასწავლებელი, პრაქტიკა, კაბინეტი (სათანადო შესიტყვებათა გვერდით იზმარება პედსაბჭო, პედკოლექტივი, პედინსტიტუტი, პედსასწავლებელი, პედპრაქტიკა, პედკაბინეტი); **პედაგოგიკური** შეიძლება იყოს ლიტერატურა, მეცნიერება.

სამეცნიერო და სასკოლო მუშაობის სფეროს ამსახველ ტერმინოლოგიას ძირითადად **პედაგოგ-**ფუძით შედგენილი სახელები და შესი-

ტყეებები ქმნის. ასე რომ, **პედაგოგ-** ფუძე, გამოყენების სიხშირის მიხედვით, ბევრად სჭარბობს **მასწავლებელ-** ფუძეს.

**მასწავლებელ-** ფუძისაგან არის ნაწარმოები **სამასწავლებლო** — მასწავლებელთათვის განკუთვნილი ოთახი სკოლაში (ზღრ.: ამავე წარმოებისა და დანიშნულების მქონე **საპროფესორო**). **სამასწავლებლო**, რომელიც არცთუ ისე დიდი ხნის წინ **პედაგოგიურის** მნიშვნელობით იხმარებოდა, მოძველებულია და თანამედროვე ქართულში აღარ გვხვდება. ზღრ.: **სამასწავლებლო ინსტიტუტი** და **პედაგოგიური ინსტიტუტი**.

კრებითი მნიშვნელობით იხმარება **მასწავლებლობა**, მაგ.: სოფლის მასწავლებლობა. იგივე მნიშვნელობა აქვს **პედკოლექტივს**, რომელიც **მასწავლებლობის** ხარჯზე იფართოებს გამოყენების სფეროს.

**სიტყვა მასწავლებელი** იღებს მონაწილეობას ისეთ მყარ შესიტყვებებში, როგორცაა: სოფლის მასწავლებელი, პრაქტიკოსი მასწავლებელი, მასწავლებლის დღე, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი (წოდება), მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი; **მასწავლებელი** გვხვდება აგრეთვე საკუთარ სახელთან ერთად როგორც ნეიტრალურ სიტყვათხმარებაში (ნინო მასწავლებელი, ქეთევან მასწავლებელი), ასევე მიმართვის დროს (ნინო მასწავლებელო! ქეთევან მასწავლებელო!). გავრცელებულია **მასწავლებლის** მონაწილეობით შედგენილი მიმართვის სხვა ფორმებიც: პატივცემულო მასწავლებელო! ბატონო მასწავლებელო! (ეს უკანასკნელი — რევოლუციამდელ მეტყველებაში).

**პიონერი** (ფრანგ. pionnier — მკვლევარი) განიმარტება როგორც რაიმე სფეროში გზის გამკვლევით, რაიმე საქმის წამომწყები. აქედან გამომდინარე გამოთქმა **ახალი მიმართულების პიონერი** ნიშნავს **ახალი მიმართულების დამწყებს**. „კვადრატულ-ბუღბორივი მეთოდით თევზის პიონერი“ (ბ. კომ.) აღნიშნავს ამ მეთოდით თევზის დამწყებს. პირველ მკვლელს. ამის გამო **პიონერის** მსაზღვრელად სიტყვა **პირველის** გამოყენება ტავტოლოგიურ შესიტყვებას ქმნის: „ამ საქმის პირველი [ზედმეტია] პიონერი ი. კრაჟჩენკო იყო“ („კომ.); „იგი [ფილმი] ეძღვნება პირველ ქართველ კინემატოგრაფისტს, პირველ [ზედმეტია] პიონერს, რომელმაც ეკრანზე გადაიტანა დიდი აღამიანური ვნებები, მისწრაფებები და მიზნები“ („თბილ.“).

**პირველი პიონერი** აზრობრივად შეუთავსებელი შესიტყვებაა, და ამდენად, უვარგისია თანამედროვე სალიტერატურო ენის თვალსაზრისით. ოღონდ უნდა აღინიშნოს, რომ ნათქვამი ეხება **პიონერ-** სიტყვის მხოლოდ ძირითად, თავდაპირველ მნიშვნელობას. სხვა მნიშვნელობით **პიონერი** (ბავშვთა ნებაყოფლობითი კომუნისტური ორგანიზაციის

წევრი) მსაზღვრელად იგუებს სიტყვა პირველს („იგი კლასში პირველი პიონერია“).

**პირველი** რიგობითი რიცხვითი სახელია და მსაზღვრელად გამოიყენება. აღნიშნავს: „უწინდელი, გინა უძუელესი, გინა დასაბამი“ (საბა), ე. ი. რიგით სხვაზე უწინარესი, ყველაზე წინ მყოფი, სხვაზე აღრე არსებული (ქველ.) ამ სიტყვას ახლავს სხვა ნიუანსებიც, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ძირითადი მნიშვნელობაა საინტერესო.

**პირველი** მსაზღვრელად არ გამოდგება ისეთ სიტყვებთან, რომელთა ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობა თავად შეიცავს პირველის გაგებას. ასეთი სიტყვებია **ნათლობა**, **პირმშო**, **პიონერი**, **დებიუტი** (მათი გამოყენების შესახებ იხ. სათანადო სტატიები), **ნათლია**, **მეკვლე**, **პრემიერა**.

**ნათლია** მომნათლაფია. **ნათლობა** — როგორც ძირითადი, ისე გადატანითი მნიშვნელობით — აღამიანის ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ ხდება რეალურად. ამდენად, ნათლიაც იმდროინდელი ჰყავს, — პირველიც ისაა და უკანასკნელიც. ამიტომ შესიტყვება **პირველი ნათლია** ტავტოლოგიურია: „ფელეტონი „იზვესტიის“ მეექვსე გვერდზე დაიბეჭდა, „იზვესტია“ გახდა ჩემი პირველი [ზედმეტია] ნათლია“ („ახ. კომ.“).

**მეკვლე** ძველი ქართული ყოფა-ცხოვრების ერთი მომენტის ამსახველი სიტყვაა. ასე უწოდებენ მას, ვინც ოჯახს პირველი უკვლევს; პირველი ულოცავს ახალი წლის დადგომას. ამ სიტყვის ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობა დაკავშირებულია კვალ-სიტყვასთან. ამიტომ ჩვეულებრივ სიტყვათხმარებაში **მეკვლეა** ის, ვინც წინ მიუძღვის, **გზას უკავავს**, **გზას უკვლევს** (ვისმე ან რასმე).

**მეკვლე** სიტყვის ორსავე აღნიშნულ მნიშვნელობაში იეარაუდება **პირველის** გაგებაც. ამიტომ მასთან მსაზღვრელად **პირველ-ის** გამოყენება უადგილოა. შესიტყვება **პირველი მეკვლე**, რა მნიშვნელობითაც უნდა იყოს მასში **მეკვლე** ნახმარი, ტავტოლოგიურია: „ექვთიმე თყაიშვილი ამ დიდი მოძრაობის ერთი პირველი [ზედმეტია] მეკვლე იყო“ („ლიტ. საქ.“). მაგრამ **მოძრაობის მეკვლევც** თავისთავად ბუნდოვანი სინტაგმაა. უმჯობესი იყო **მეკვლეს** მაგივრად **პიონერის** ან **ინიციატორის** გამოყენება.

ასევე **ზედმეტია** სიტყვა **პირველი** მსაზღვრელად **პრემიერასთან** (ფრანგ. *première*), რომლისთვისაც ამოსაეილია **პირველის** მნიშვნელობა. **პრემიერა** არის პირველი წარმოდგენა თეატრალური პიესისა, ოპერისა, ბალეტისა და სხვ. ამიტომაც შესიტყვება **პირველი პრემიერა** ტავტოლოგიურია, თუ საუბარი არ ეხება საერთოდ თეატრის ან დასის ისტორიაში (ან სეზონში) პირველ დადგმას.

**პირი** — **პიროვნება**. არსებითი სახელები **პირი** და **პიროვნება** პარონიმული სიტყვებია. მათ საერთო ძირი **პირ-** და მსგავსი მნიშვნელობა აკავშირებთ. პოლისემიური **პირ-** სიტყვის ერთ-ერთი მნიშვნელობა ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ასე განიმარტება: ცალკე ადამიანი, — **პიროვნება**, ინდივიდი; **პიროვნება** კი არის: გარკვეულ თვისებათა მქონე ცალკეული ადამიანი, ადამიანის „მე“, — ინდივიდი: „გასაოცარი მოხერხებული **პიროვნება**... იყო ვინმე მეზღვე დაღვონი“ (დ. კლდ.); „...რომ თქვას კაცმა, ურიგო **პიროვნება** არაა ის ჩვენი თავმჯდომარე“ (ს. კლდ.); „სსრ კავშირის მოქალაქეთათვის უზრუნველყოფილია **პიროვნების** ხელშეუხებლობა“ („სსრკ კონსტ.“).

თითქმის იდენტური განმარტების მიუხედავად, ეს ორი სახელი მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან როგორც სემანტიკურად, ისე სიტყვათხმარების თვალსაზრისით. **პირი** უფრო ფართო, ზოგადი შინაარსის მქონე სიტყვაა. მისი დაახლოებითი სინონიმებია: **ვინმე**, **მავანი**. სახელი **პირი** ცალკე, მსაზღვრელის გარეშე, არ იხმარება. იგი მუდამ განსაზღვრული უნდა იყოს რომელიმე მსაზღვრელით. ამგვარად განსაზღვრული სიტყვა **პირი** ცალკე ადამიანს, ინდივიდს კი აღნიშნავს, ოღონდ — მისი საზოგადოებრივი სტატუსის, ოფიციალური მდგომარეობის მიხედვით. ამის კვალობაზე ქართულში არსებობს მრავალი მყარი შესიტყვება: მოქმედი **პირი** (=პერსონაჟი), კერძო **პირი**, ოფიციალური **პირი**, თანამდებობის **პირი**, პასუხისმგებელი **პირი**, სამხედრო **პირი**, სამოქალაქო **პირი**, სასულიერო **პირი**, ისტორიული **პირი**, უცნობი **პირი**, გარეშე **პირი**, სახლო **პირი** და მისთ.

ყველა შემთხვევაში სახელი **პირი** ზედსართავის ან მიმღეობის მეშვეობით ნეიტრალურადაა დახასიათებული — მისი ოფიციალური მდგომარეობის მიხედვით და საზოგადოებრივი თვალთახედვით და, ამდენად, მსაზღვრელ-საზღვრული სემანტიკურად ტერმინოლოგიურ ღირებულებას იძენს.

რაც შეეხება **პიროვნებას**, მისი მნიშვნელობა უფრო ვიწროა, განსაზღვრული. თუ **პირი** შეიძლება იყოს უცნობი, შემთხვევითი, ნებისმიერი, **პიროვნება** ნაცნობია, უფრო ზუსტად, ცნობილია და კონკრეტული, გამორჩეული მორალური ან ინტელექტუალური თვისებებით; იგი გარკვეული ინდივიდუალობის მქონე ადამიანს, მის „მე“-ს აღნიშნავს; ნეტიცი, მსაზღვრელის გარეშე იგი მხოლოდ დადებით შეფასებას შეიცავს (მდრ.: ყველა **პასუხისმგებელი** || **თანამდებობის პირი** როდია **პიროვნება**). ადამიანის ინდივიდუალობის სხვადასხვა მხარის გამოსავლენად სიტყვა **პიროვნებას** სხვადასხვა, ჩვეულებრივ, დადებითი შინაარსის ეპითეტი განსაზღვრავს (მთლიანი, განსაკუთრებული, გამორჩეული, იშვიათი, ძლიერი, საინტერესო, კარგი, შესანიშნავი, ღი-



დებნული და მისთ.). ამ შემთხვევაში შეფასებაც ემოციური, ექსპრესიულია და არა ნეიტრალური.

**პირსა და პიროვნებას** შორის ამგვარი განსხვავების გამოა, რომ ყოველგვარი ნეიტრალური ინფორმაციის შემცველი სიტყვები — რიცხვითი სახელები, ნაცვალსახელები (ჩვენებითი, განსაზღვრებითი, განუსაზღვრელობითი...) და ზოგიერთი მიმღებობა შესიტყვებებს პირსიტყვასთან ქმნიან და არა პიროვნებასთან. ეს უკანასკნელი თავისთავად განსაზღვრულია და ჩვეულებრივი, ნეიტრალური ინფორმაციის მატარებელი მსაზღვრელები არ სჭირდება: მხოლოდ ექსპრესიული ეპითეტები შეიძლება დაირთოს; პირი კი განუსაზღვრელია და საჭიროებს ელემენტარულ განსაზღვრას. ამიტომ ბუნებრივი შესიტყვებებია: **რამდენიმე** (ათი, ოცი) **პირი**, **თითოეული პირი**, **რომელიმე პირი**, **ესა და ეს პირი** (შდრ. მავანი და მავანი), **ის პირი** (პირები, პირნი), **რომელიც** (რომლებიც...), **გარკვეული პირი** და ა. შ.

ამ შესიტყვებებში სიტყვა **პირი** იხმარება ვინმეს, კაცის (სულის) განუსაზღვრელი მნიშვნელობით, რომელსაც კერძოდ ინდივიდის შინაგან სამყაროსთან, მის ინდივიდუალობასთან უშუალო კავშირი არა აქვს. მაშასადამე, ზემოთქმულის საფუძველზე აზრობრივად შეუფერებელი და სტილისტიკურად გაუმართლებელია სიტყვა **პიროვნება** იქნეს გამოყენებული **პირის** ნაცვლად. შდრ.: „...დაწესებულების მანქანას უნდა იყენებდეს მხოლოდ ის **პიროვნება** [უნდა იყოს: პირი], ვისზეც ტრანსპორტია მიმავრებული“ („თბილ.“); „...სასამართლომ განიხილა სულ 8 **პიროვნების** [სწორია: პირის] საქმე“ („საქ. კომ.“); „ზოგიერთმა ცნობილმა **პიროვნებამ** [სწორია: პირმა] საჭიროდ ჩათვალა... დაეცვა პრესაში „ჩვეული“ სახალხო მკურნალები...“ („კომ.“); „ჩვენ ეჭვიც არ გვეპარება, რომ ამ **პიროვნებებს** [უნდა იყოს: პირთ] მხოლოდ და მხოლოდ კეთილშობილური მიზნები ამოძრავებთ...“ („კომ.“); „...ამა თუ იმ ქუჩას არქმევდნენ სახელს იმ **პიროვნებისას** [სწორია: პირისას], რომელიც რამით იყო დაკავშირებული ამ ადგილთან“ („თბილ.“); „**პიროვნებები** [უნდა იყოს: ის პირნი], რომლებიც შეამჩნევენ რაიმე უწყესიერობას ელექტროგადამცემ ზაზებზე, მოვალენი არიან აცნობონ...“ („თბილ.“). სწორი ხმარებისათვის შდრ.: „...წესრიგის დამრღვევი **პირები** [უმიჯობესია: დამრღვევნი] მიცემული იქნებოიან პასუხისგებაში“ („თბილ.“); „რატომ იყო, **გარეშე პირს**, თანაც მთვრალს, დაუბრკოლებლად შეეძლო შესვლა საერთო საცხოვრებელში?“ („კომ.“).

დამოწმებულ კონტექსტებში სიტყვა **პიროვნების** ხმარება ორნამენტულია და ნაკარნახევია მაღალფარდოვნად თქმის სურვილით ანდა, უბრალოდ, დაუკვირვებლობის შედეგია. ამგვარი სტილისტიკური შეუ-

საბამობისა თუ უხერხულობისაგან თავის დასაღწევად სასურველი იქნებოდა სიტყვა **პიროვნების** ჩანაცვლება **პირით**, ამ მაგალითებში კი უფრო მიზანშეწონილია ამ ცნებათა შემცველი ორივე სიტყვის ამოღება, ვთქვათ, ასე: ...მანქანას მხოლოდ **ის** (პირი) უნდა იყენებდეს...; **ვინც** შეამჩნევს რაიმე უწყესივრობას, მოვალეა აცნობოს...

ამ გზით მარტივი აზრი მისივე შესაბამისი სადა ენობრივი ფორმით გადმოიყემა.

**პირმშო** რთული შედგენილობის სიტყვაა, აღნიშნავს **პირველ-შობილს** (საბა), **პირველ შვილს** (ქველ) და ამ შვილის სხვა შვილისაგან ან შვილთაგან გამოსარჩევად იხმარება.

აღსანიშნავი ობიექტის ამგვარი გამორჩეულობის გამო ზოგჯერ ეს სიტყვა კიდევ უფრო დავიწროებული მნიშვნელობით ესმით, — როგორც ერთადერთი შვილი, დედისერთა, მხოლოდშობილი (ამ უკანასკნელს იგი მეორე შემადგენელი ნაწილითაც ემსგავსება). მაგ.: „**ჩტარიელმა** საყვარელი **პირმშო** [ნაწარმოების მიხედვით — დედისერთა] მძლავრად გულზე მიიხუტა“ (ლ. ქიჩ.).

თანამედროვე ქართულში უფრო ხშირია **პირმშო** სიტყვის ხმარება გაფართოებული მნიშვნელობით — საზოგადოდ **შვილის** აღსანიშნავად. ეს სიტყვა **შვილის** ექსპრესიულ სინონიმად მოიაზრება შემდეგ მაგალითებში: „მოდიოთ დავეხმართ ჩვენს **პირმშოს**, ხშირად დაუხვას თავს ეს კითხვა, რომელიც დღესაც ძალზე აქტუალურად უღერს“ („თბილ.“); „თქვენი **პირმშო** ამ ზაფხულს ნუ დაივიწყებს ბიბლიოთეკის გზას“ („თბილ.“); „ჩვენმა **პირმშომ** კარგად უნდა ისწავლოს...“ („სოფლ. ცხოვრ.“); „კლასის დამრიგებლისა და პედაგოგების წინაშე დგას შემცბარი მშობელი და გულისტკივილით ისმენს მისი **პირმშოს** სიზარმაცისა თუ სიცვლქის ამბავს. **შვილიც** იქვე დგას თავჩაღუნული და შემკრთალი“ („სოფლ. ცხოვრ.“);

**პირმშო** სიტყვის გაფართოებულ მნიშვნელობას (=შვილი) უფრო ნათლად აიღენს ამ სიტყვის დასმა მრავლობით რიცხვში ან მასთან რიცხვითი სახელის დართვა: „მათმა დედამაც არაფრად ჩააგდო პატარების ბედი, გულიდან მოიწყვიტა **პირმშოები**, მიატოვა მეუღლე, ოჯახი და გაიპარა სახლიდან“ („სოფლ. ცხოვრ.“); „ჩვენ ვერ ვიტყვიოთ, რომელი კანონის რომელი მუხლი მიუდგება იმ მშობლების საქციელს..., რომლებმაც თავიანთი უპასუხისმგებლო ნაბიჯებით ბედის ანაბარად მიატოვეს **პირმშოები**“ („სოფლ. ცხოვრ.“); „სასტიკად შეზღუდული ეგოისტებიც კი ქვეცნობიერად მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნვაში თავიანთ **პირმშოებზე** ზრუნვასაც გულისხმობენ“ („ლიტ. საქ.“); „ოქროს **პირმშონი**“ (სათ., ჯ. ქარჩხ., დ. წერედ., თარგმ.); „ერთი **პირმშო** სიკვდილმა გამოგლიჯა ხელიდან“ („გამარჯვ. გზა“);

„მან ბრძოლის ველზე გაგზავნა ორივე პირმშო“ („ახ. კომ.“) და სხვ. (რასაკვირველია, აქ საუბარი, არ არის ტყუპ შვილზე. თუმცა ტყუპ-შიც განარჩევენ პირმშოს, პირველად შობილს).

სიტყვა პირმშო-ს ხმარება როგორც დაეწროებული, ისე გაფართოებული მნიშვნელობით, აბუნდოვანებს მის პირვანდელ სემანტიკას და ორანზოვნების წარმოქმნას უწყობს ხელს, რაც აღარიბებს ამ სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობას.

პირმშო სიტყვის ხმარებისას შეინიშნება ჭარბხმარების, ტაგტოლოგიის შემთხვევებიც, როცა ამ სიტყვას შეეხამება თავისთავად ნაგულისხმევი მსაზღვრელი — რიგობითი რიცხვითი სახელი პირველი. მაგ.: „ტიროლა ჩვილი, პაწია ტუხები დედის რძეს ეძებდა. იქ სხვა, ახალი „დედა“ გაუჩნდა. საკუთარი დედა კი უკვე პირველ პირმშოსთან იყო შინ (ისიც გოგონა იყო), საკუთარ ოჯახში“ („თბილ.“); „მაგრამ მამამისმა ახალი ოჯახი შექმნა და ორი შვილიც შეეძინა. ცხრა წლის განმავლობაში პირველ პირმშოზე ზრუნვა მხოლოდ აღიმენტის გადახდით გამოიხატებოდა“ („თბილ.“). ორივეგან ზედმეტია პირველი, ან ამ უკანასკნელთან შვილი უნდა ეხმარათ.

იგივე ითქმის პირველ-სიტყვისაგან ნაწარმოები უპირველესის შესახებ, რომელიც განსაზღვრავს ფიგურალურად ნახმარ პირმშოს: „ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის საფუძველზე აღმოცენდა შემდეგ ჩვენი მეცნიერების უპირველესი პირმშო — ქართული უნივერსიტეტი“ („ლიტ. საქ.“).

პირმშო არ შეიძლება გულისხმობდეს: ა) არც ერთადერთ შვილს (რომელიც ერთდროულად პირველიცაა და უკანასკნელიც, ბ) არც რამდენიმეს — ერთზე მეტს და, აქედან გამომდინარე, გ) არც რომელიმე სხვას, პირველს გარდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სიტყვა პირმშო ნებისმიერ რიცხვით სახელთან — როგორც რაოდენობითთან, ისე რიგობითთან — შეუთავსებელია.

თუ ზემოთ მოყვანილი ილუსტრაციები მსაზღვრელის ჭარბი ხმარების გამოა დასაწუნებელი, სინტაგმა ბოლო პირმშო, პირდაპირი მნიშვნელობით იქნება იგი ვაგებული თუ გადატანით, სრულ უაზრობას ქმნის, ურთიერთგამომრიცხავ ცნებათა შეხამებას წარმოადგენს: „სულ ბოლო პირმშომ „კაზ-608-“ ვ-მ შარშან ზაფხულში ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიიღო“ („საქ. ქალი“).

სიტყვა პირმშო ამჟამად გავრცელებულია და მასთან საზღვრულის — არსებითი სახელი შვილის ხმარებაც აგრეთვე ტაგტოლოგიურ შესიტყვებას ქმნის — ერთ-ერთი ზედმეტია: „მთასაც ეუწყა ამბავი: დაკარგვა პირმშო შვილისა“ (ყაყა); „აქ იყო უბედური ალექსანდრე ბაგრატიონი... მოსკოვს გადახვეწილი არჩილ მეფის პირმშო შვილი

(რ. ჯაფარი.) და მისთ. აღსანიშნავია ისიც, რომ, რაც შესაწყნარებელია პოეზიის ენაში, შეუფერებელი ან მიუღებელია პროზის ენაში, რომელიც რითმა-რიტმით გამოწვეულ შეზღუდვებს არ (ან ნაკლებ) ემორჩილება.

იშვითად ტავტოლოგიურ სინტაგმაში პირმშო შვილი, როცა ის გადატანითი, ფიგურალური მნიშვნელობით იხმარება, ზედმეტია მხოლოდ პირმშო. მაგ.: „ამბობენ, ყოველი ადამიანი თავისი ეპოქის პირმშო [ზედმეტია] შვილიაო“ (დ. ბენაშვი.).

ახლოგიურ კონტექსტებში დასაშვებია მაგალითებია: „ვერიკო ან-ჯაფარიძე და აკაკი ვასაძე, კ. მარჯანიშვილის პირმშონი, აგერ ახლა შეზღუნენ ერთმანეთს იბენის „მოჩვენებებში“ („ლიტ. საქ.“); „კომკავშირი ბოლშევიკური პარტიის პირმშოა („ახ. კომ.“); „ამ სახლში თითქოს ყველაფერს მოსავს გარდასულ დღეთა ნათელი და მადლი. თავად კი ამ დღეთა პირმშოა, ჩინებული აღმზრდელი, შემოქმედი და მამა სამი ვაჟისა“ („ახ. კომ.“); ჩვენი ქვეყნის საერთო წინსვლასთან ერთად გაიზარდა, დაკავკაცდა და დაწინაურდა მისი პირმშო სამეცნიერო-კვლევითი და სამეცნიერო-სასწავლო კერა — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ (ალ. ბარამ.); „თბილისის უნივერსიტეტის პირმშო [საუბარია თსუ გამომცემლობასა და სტამბაზე] („სამშ. — სათ.); „გემთშენებლობა საბჭოთა საქართველოს პირმშოა და იშვა კოლხეთის სამაყო ფოთში („სამშ.“); „ტაქსი საკმაოდ ნახმარი იყო. მოსკოვის ცენტრში, მოკრიალებულ ასფალტზე, სასწაულებრივ ჯაყყაყებდა და სრულიად არ ჰგავდა ტექნიკური პროგრესის პირმშოს“ („ახ. კომ.“) და სხვ.

ამრიგად, თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში სიტყვა პირმშოს გამოყენებასთან დაკავშირებით შეიძლება დავასკვნათ შემდეგი: 1. ძირითადი მნიშვნელობით პირმშო აღნიშნავს მხოლოდ პირველშობილს, პირველად შეძენილ შვილს; 2. პირმშო შვილი და პირველი პირმშო ტავტოლოგიური შესიტყვებებია; 3. დასაშვებია პირმშოს გადატანითი მნიშვნელობით, ფიგურალურად გამოყენება, თუ მას არ ახლავს მსაზღვრელებად აზრობრივად შეუფერებელი სიტყვები (პირველი, უპირველესი, ბოლო და მისთ.).

**პირნათლად გაამართლებს ნდობას.** თანამედროვე სალიტერატურო ქართულში უპირატესად პრესისა და ოფიციალურ-საკანცელარიო ხასიათის მასალების ენაში ხშირად სახმარი გამოთქმებია: დავალებას (სიტყვას, დაპირებას) შეასრულებს და ნდობას გაამართლებს. პირველ გამოთქმაში (დავალებას შეასრულებს) ზმნას შეიძლება დაერთოს ზმნისართი პირნათლად, რომელიც ნიშნავს: კეთილსინდისიერად, პატიოსნად. იგი ქმნის მყარ გამოთქმებს შეასრულა.

გამოვიდა, წარდგა... ზმნებთან: პირნათლად შეასრულა, პირნათლად წარდგა, პირნათლად გამოვიდა (ვისიმე წინაშე). პირნათლად, კეთილ-სინდისიერად პატიოსნად შეიძლება შეასრულონ მიცემული სიტყვა, მიცემული პირობა, ფიცი, დანაპირები...

ნდობა ნიშნავს რწმენას ვინმეს მიმართ, იმედს. ეს სახელი უმეტესად შესიტყვებებს ქმნის შემდეგ ზმნებთან: გაამართლა, მოიპოვა, დაკარგა... ნდობა გაამართლა იგივეა, რაც: გაამართლა, რისი იმედიც ჰქონდათ მისგან, რასაც მოელოდნენ მისგან; რაც მიანდვეს, ის სასახელოდ შეასრულა, გაამართლა იმედი, რწმენა, მოლოდინი. მაგ.: „გამართლა ნატომ კოლმეურნეობის ნდობა და პატივი“ (მიხ. მრველ.); „გაძლევთ სიტყვას... გავამართლოთ ნდობა“ (ეკ. ვაბ.). შდრ.: „მენშევიკებისა და ესერების პარტიებმა... მშრომელთა ნდობა დაკარგეს“ („კომ.“). ამ შესიტყვებებში გაამართლა ზმნას შეიძლება ერთოდეს ზმნისართები სავსებით, მთლიანად.

ამ ორი შესიტყვების — პირნათლად შეასრულა დავალება და გაამართლა ნდობა — „შეჯვარებით“ ჩანს მიღებული პირნათლად გაამართლა ნდობა, რომელიც არ არის ბუნებრივი სიტყვათშეხამება (გამართლა პირნათლად ზმნასთან არ ქმნის ბუნებრივ სინტაგმას): „არც შემცდარან ქუთაისელი ბოლშევიკები — მან პირნათლად [უნდა იყოს: სავსებით] გაამართლა ნდობა“ („ლიტ. საქ.“).

**პირიზბა** ზოგჯერ შეცდომით იხმარება მიზეზის ნაცვლად. იხ. მიზეზი — პირობა.

**პირიზბები** და პირობა ქართულ ენაში გამორჩეული სახელებია იმიტ, რომ მათ შორის ფორმოებრივი (გრამატიკული რიცხვის მიხედვით) სხვაობა ენას, გამონაკლისის სახით, მათს სემანტიკურად გასარჩევად გამოუყენებია. პირობა არის ის, რაზედაც დამოკიდებულია რისამე შესრულება, რაც განსაზღვრავს, განაპირობებს რასმე. მაგ.: „სანიტარული წესრიგი ჯანმრთელობის დაცვის უმნიშვნელოვანესი პირობაა“ („კომ.“). პირობა ადვილად ენაცვლება სახელებს: ხელშეკრულება, შეთანხმება, გადაწყვეტილება... პირობები კი აღნიშნავს ვითარებას, გარემოებას (უფრო ზუსტად: ვითარებათა, გარემოებათა კომპლექსს, წყებას), რომელშიც რაიმე ხდება. პირობები შეიძლება იყოს: კარგი, შესანიშნავი, სანიმუშო, იდეალური, ასატანი, აუტანელი, ცუდი, მძიმე, ... სამუშაო, საყოფაცხოვრებო, სანიტარული... ამის შესაბამისად ბუნებრივი ქართული გამოთქმებია: კარგი პირობები, ცუდი პირობები, სამუშაო პირობები, საყოფაცხოვრებო პირობები და მისთ.: „ეფექტობთ, ამისათვის უკვე იდეალური პირობები შევქმენით“ („თბილ.“); „ყურადღება არ ექცევა ფერმების მწყემსების, მწველავების და მოსამსახურე პერსონალის სამუშაო პირობების საჭირო ორ-

განიხაცის“ („გამარჯვ.“); „ვიდრე უკეთ არ ვიზრუნებთ მწარმოებელი მუშახელის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე... საქმე წინ არ წაიწვეს“ (რ. ჯაფ.); ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების ამოცანაა უზრუნველყონ ოპტიმალური პირობები შრომითი სწავლების პერიოდში მოზარდთა შრომისა და დასვენებისათვის“ („კომ.“)...

უკანასკნელ ხანს ქართული პრესის ენაში ძალიან გახშირდა გამოთქმა რთული ამინდის პირობები სხვადასხვა ვარიანტით: ამინდის რთული პირობები, მძიმე ამინდის პირობები, ძნელი ამინდის პირობები, არახელსაყრელი ამინდის პირობები, რთული მეტეოპირობები და მისთ. ეს შესიტყვებები უმეტესად სამეურნეო და სამრეწველო ხასიათის ინფორმაციებში გამოიყენება (იშვიათად გვხვდება სპორტულ ინფორმაციებში) და ეს ალბათ იმიტომ, რომ აღნიშნული გამოთქმები მიუთითებენ არა მომენტობრივ ან მცირე ხანგრძლივობის უამინდობაზე (ვთქვათ, წვიმაზე ან თოვლზე...) ერთი ან რამდენიმე საათის ან თუნდაც მთელი დღის განმავლობაში, არამედ უამინდობის „კომპლექსზე“ უფრო დიდი ხნით, რომელიმე სამეურნეო და სამრეწველო სამუშაოთა სეზონის განმავლობაში (თესვისას, მკისას, რთვლისას... მშენებლობის დროს...): „მიუხედავად რთული ამინდის პირობებისა, შარშან ბევრმა კოლმეურნეობამ მიაღწია... პროდუქციის შემდგომ ზრდას“ („კომ. დროშა“); წელიწადი წელიწადს არა ჰგავს, მაგრამ წლეულს განსაკუთრებით რთული ამინდის პირობები გვექონდა: ცივი და დაგვიანებული გაზაფხული, წვიმიანი ზაფხული“ („სოფლ. ცხოვრ.“); „მიწითმოკმედეები მოსავალს იღებენ ამინდის რთულ პირობებში, ზოგან — თოვლსა და წვიმაში“ („კომ.“); „ეს მით უფრო სასიხარულოა, რომ წლევიანდელი წარმატება ამინდის რთულ პირობებშია მიღწეული“ („კომ.“); „წარმოების ნოვატორებმა წარმატებით დაძლიეს 1971 წლის მძიმე ამინდის პირობები“ („ჭიათ. შალ.“); „ძნელი ამინდის პირობების, უკანასკნელი ორი წლის სტიქიური უბედურების მიუხედავად, რესპუბლიკამ წარმატებით შეასრულა ჩაის, ციტრუსების... სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები“ („კომ.“); ა. გარდაფხაძე რთულ მეტეოპირობებში და მატერიალური ნაწილის მწყობრიდან გამოსვლისას უმეცდომო გადაწყვეტილებებს იღებს“ („თბილ.“); „იბადება კითხვა, მაშ რატომღა დათმო ოლქმა თანდათან პოზიციები? რა თქმა უნდა, გავლენა მოახდინა არახელსაყრელმა ამინდის პირობებმა“ („კომ.“)...

მსგავსი შინაარსის მქონე წინადადებებში არსებითი სახელის პირობების ხმარება ქართული სწორმეტყველების თვალსაზრისით დღეს დასაშვებად უნდა მივიჩნიოთ, მიუხედავად იმისა, რომ მთლიანად გამოთქმას რთული ამინდის პირობები და მისთ. აშკარად არაბუნებრივი, კანცელარული იერი აქვს და მას ბევრ შემთხვევაში წარმატებით

შეცვლიდა უფრო ბუნებრივი ქართული სიტყვები თუ გამოთქმები: ავ-  
დარი, უამინდობა, გვალვა, ხშირი ავდრები, ხანგრძლივი უამინდობა,  
დიდი გვალვები და მისთ. შდრ.: „მაგრამ უმთავრესი ის არის, რომ და-  
ვიწყებთ პლანტაციებში ჩაის პერსპექტიული ჯიშის — „კოლხეთის“  
დანერგვას, რომელიც უამინდობის პირობებშიც ჩინებული ხარისხის  
ჩაის ფოთლის უხვ მოსავალს იძლევა“ („კომ.“) და: „შარშან მიუხე-  
დავად უამინდობისა ბევრ რაიონში რეკორდული მოსავალი მოიწიეს“  
 („კომ.“); „...მარტო ის რად ღირს, რომ შარშან დეკემბერში ცანის საშ-  
თო ქიმიური ქარხნის კოლექტივმა დიდ თოვლს, უამინდობას ვაეკაცო-  
ბა და გამბედაობა დაუპირისპირა“ („კომ.“)... „გორელ კოლმეურნეთა  
გადამწყვეტილებათა ხელიდან არ გაუშვან ზამთრის ხელსაყრელი ამინ-  
დის პირობები“ („გამარჯვ.“) და: „ხალგაზრდები... სიყვარულით  
შრომობდნენ, რომ დაეძლიათ სიძნელებები, რომლებიც გამოწვეული  
იყო თამბაქოს დაუავადებითა და არახელსაყრელი ამინდებით“  
 („კომ.“).

მაგრამ სხვა შემთხვევებში, თუ წინადადებით ნაგულისხმევი აზრი  
არ მოითხოვს მითითებას მეტეოროლოგიური ფაქტორების კომ-  
პლექსზე (მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი დროის განმავლობაში), არსები-  
თი სახელის პირობების გამოყენება სტილისტიკურად გაუმართლებე-  
ლია. ამიტომ არ არის სწორი: „ამ დროს მცენარეთა მკვებაცია არ  
წყდება, იწყება ზამთრის ყვავილობა, თბილი ზამთრის პირობებში  
[უმჯობესია: თბილ ზამთარში] დროზე ადრე იღვიძებს მიმოზა, გერ-  
ცხლისფერი აკაცია“... („კომ.“); „ეს მაცდური მდინარე ზაფხულის  
გვალვიან პირობებში [უნდა იყოს: ზაფხულის გვალვაში ან გვალვების  
დროს, გვალვების გამო] ნელა მოედინებოდა“ („ცისკ.“)...

პირს უპან ტრადიციული გამოთქმაა, რომელიც იხმარებოდა  
პირში ფორმის საპირისპიროდ. მოგვიანებით მას შეენაცვლა გამოთქმა  
ზურგს უკან (იხ.).

**პლაგიატი; პლაგიატობა.** სასაუბრო და, ზოგჯერ, წერითს მეტ-  
ყველებაში ირევა ორი ცნება — პლაგიატი და პლაგიატორი, ერთი  
მხრივ, და პლაგიატი და პლაგიატობა, მეორე მხრივ. კერძოდ: პლა-  
გიატი იხმარება პლაგიატორის მაგიერად, ხოლო პლაგიატობა — პლა-  
გიატის მაგიერად.

პლაგიატი ლათინური წარმოშობის სიტყვაა (<plagio — ვიტა-  
ცებ), რომელიც ქართულში რუსულის გზით არის შემოსული; ნიშნავს  
სხვისი ნაწარმოების (მხატვრულის, სამეცნიეროს) მითვისებას ან,  
სხვანაირად, ლიტერატურულ ქურდობას: „...ვერავითარი „უხანობრივი“  
თავისებულება“ მისი წიგნებისა ვერ გაამართლებს აშკარა პლაგიატს“  
 („ლიტ. საქ.“); „ანატოლ ფრანსი... თავის ორ ესსეში (!) ერთი და იგი-

ვე [იმავე!] სათაურით „პლაგიატის აპოლოგია“ იცავს სიუჟეტთა, მოტივთა და პრობლემათა სესხების პრინციპს“ („ცისკ.“).

პლაგიატის ჩამდენს, სხვისი ნაწარმოების მიმოვისებელს პლაგიატორი ეწოდება: „ქართველი კაცი ბუნებით არაა პლაგიატორი“ (მ. მაჭავ.).

პლაგიატი და პლაგიატორი ისე მიემართება ერთმანეთს, როგორც დანაშაული და დამნაშავე, ქურდობა და ქურდი. ამ წყვილებში პირველი ცალი აბსტრაქტულ ცნებას გამოხატავს, მოქმედების სახელია, მეორე კი — კონკრეტული მოქმედის აღმნიშვნელი, და ეს ერთგული თუ ძველიდან შეთვისებული სიტყვები ქართველებს არასდროს არ ერევათ ერთმანეთში. აღრევა მხოლოდ გვიან შემოსულ უცხო სიტყვათა, ინტერნაციონალიზმების ხმარებისას ხდება. შდრ.: „რონითა და დაცინვით ლაპარაკობენ ...კარიერისტსა და პლაგიატზე [უნდა იყოს: პლაგიატორზე], მექრთამესა და ყალბისმქნელზე“ („კომ.“).

აღრევას, შესაძლოა, ხელი შეუწყოს -იატ, -ეატ დაბოლოებიანი, ადამიანის აღმნიშვნელი სახელების — ლაურეატის, სტიპენდიატის ანალოგიაში.

პლაგიატისა და პლაგიატორის აღრევამ კიდევ ერთი უსწორობა წარმოშვა: მას შემდეგ, რაც პლაგიატი გამოიყენეს პლაგიატორის ნაცვლად, თვით ამ საქმიანობის აღსანიშნავად ახალი სიტყვა იქნა ნაწარმოები ქართული -ობა სუფიქსის დართვით — პლაგიატობა, რაც ჭარბწარმოების ნიმუშია. მაგ.: „...თავს იჩენს შემოქმედებითი სიხელის ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, რასაც ბრეხტი „უმანკო პლაგიატობას“ უწოდებს“ („ცისკ.“); „პროექტთა დიდი უმრავლესობა... იმდენად გავრცელებულ, გატყეპნილ არქიტექტურულ თემებსა და განწყობილებებს ემყარება, რომ ავტორს პლაგიატობასაც ვერ დაუმტკიცებთ“ („ლიტ. საქ.“); „თანამშრომლებმა... ერთნაირი საჩივარი შემოიტანეს და ერთმანეთს პლაგიატობა დასწამეს“ („ლიტ. საქ.“); „ახლახან ცნობილი გახდა, რომ... რედაქტორის მოადგილე... ეწეოდა პლაგიატობას“ („ლიტ. საქ.“).

თუ კონტექსტი მაინცდამაინც პლაგიატორის საქმიანობის აღნიშვნას მოითხოვს, მაშინ პლაგიატორობა უნდა იქნეს გამოყენებული, ხოლო პლაგიატორობისათვის დამახასიათებლის, ნიშანდობლივის აღსანიშნავად — პლაგიატორული (ანალოგიისათვის შდრ. რუს. плагиаторство — პლაგიატორობა, плагиаторский — პლაგიატორული).

მაშასადამე: ლიტერატურული ქურდობის აღსანიშნავად პლაგიატი უნდა იხმარებოდეს (და არა პლაგიატობა), პლაგიატის ჩამდენის აღსანიშნავად — პლაგიატორი (და არა პლაგიატი), ხოლო პლაგიატორის საქმიანობის აღსანიშნავად — პლაგიატორობა (და არა პლაგიატობა).



**პოსტი** ქართულში ფრანგულიდან შემოვიდა (ფრანგ. poste) მისი ერთ-ერთი ძირითადი მნიშვნელობით — საპასუხისმგებლო ადმინისტრაციული თანამდებობა. ამ მნიშვნელობით თანამედროვე ქართულში იგი გამოიყენება სიტყვა **თანამდებობის** პარალელურად. შდრ. ერთ-სა და იმავე ტექსტში: „ზუსტად ამ პრინციპების გათვალისწინებით წამოაყენეს მედიცინის მუშაკებმა მე-5 კლინიკური საავადმყოფოს **მთავარი ექიმის პოსტზე** ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამკურნალო დარგში“ და: „სავსებით მიზანშეწონილად მიმაჩნია... მისი გაგზავნა **მთავარი ექიმის თანამდებობაზე**“ („თბილ.“). ამგვარი მოხმარებისას სიტყვა **პოსტი** ადვილად იგუებს მსაზღვრელად ზედსართავ სახელს **მაღალი**: „დარწმუნებული ვართ, რომ ამ **მაღალ პოსტზე** თქვენი ზელმძღვანელი მოღვაწეობა მრავალმხრივ ზეგავლენას მოახდენს საერთაშორისო ურთიერთობაზე...“ („კომ.“).

სიტყვა **პოსტს** სხვა მნიშვნელობებიც აქვს (იხ. ქველ.). სამხედრო ტერმინოლოგიაში იგი აღნიშნავს განსაკუთრებულ ადგილს, რომელიც სათვალთვალოდ ან საგუშაგოდაა გამოყენებული. ჩვეულებრივ სიტყვათხმარებაშიც **პოსტს** ზოგჯერ იყენებენ **ადგილის** აღსანიშნავად, ოღონდ ამ ადგილს მაინც რაიმე საგანგებო მნიშვნელობა, ფასი, დანიშნულება უნდა ჰქონდეს. ამგვარი სემანტიკური თავისებურების გამო აღნიშნული არსებითი სახელის მოხმარებისას განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, რათა ენობრივად შეუსაბამო შესიტყვება არ მივიდეთ. მაგალითად, **ლიდერის პოსტი** სავსებით მართებულ შესიტყვებად ჩაითვლება, თუ ლაპარაკია რომელიმე ორგანიზაციის, დაჯგუფების, პარტიის ლიდერზე. მაგ.: „მის წლების მანძილზე ეკავა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის **ლიდერის პოსტი**“ (ტელეგად). მაგრამ იგივე შესიტყვება უმართებულთა სპორტულ ინფორმაციებში, რადგან **პოსტი**, რომელიც აღნიშნავს შედარებით მყარ, სტაბილურ (სამსახურებრივ) ადგილს, აქ არასწორად ენაცვლება არსებით სახელს — **ადგილს**, რომელიც სპორტულ ცხოვრებაში (და აქედან ინფორმაციებში) სწორედ არამდგრადი და ცვალებადია. მაგ.: „ფაქტი ფაქტია (!), ერთ-ერთი **ლიდერის პოსტიდან** მან საგრძნობლად წამოიწია გათამაშების ცხრილში“ („ლელო“). უხერხული შესიტყვებია აგრეთვე **საკვანძო პოსტიც**: „დიპსო ახლა ეკატონელთა კოლექტივში **საკვანძო პოსტზე** დგას“ („ლიტ. გაზ.“). მართალია, ზედსართავი სახელი **საკვანძო** ვიღაცანიით მნიშვნელობით იხმარება ხოლმე ძირითადის, **მთავრის**, **არსებითის** შინაარსით, მაგრამ ეს ზედსართავი დღევანდელ ქართულში უხდება და ეგუება სხვა არსებით სახელებს. მაგალითად: **საკვანძო პუნქტი**, **საკვანძო სადგური**, **საკვანძო საკითხი**... **პოსტთან** მის დაკავშირება შეუფერებელია.

**პოულობს** აწმყოს ფორმაა **იპოვის** ზმნისა, ობიექტად იღუებს მხოლოდ რეალური საგნის აღმნიშვნელ სიტყვას, რომელიც შეიძლება დაიკარგოს, დაიძალოს, დაიფაროს, გაუჩინარდეს და რომელსაც შეიძლება მივაგნოთ, მივაკვლიოთ, წავაწყდეთ, მოვანხოთ, ვიშოვოთ. მაგ.: „მარინე **პოულობდა** იმათ [ბავშვებს]“ (ე. ნინოშვი.); „მონადირე... **კვალს პოულობდა**“ (თ. რაზიკ.); „სტუმარიც კი ვერ **პოულობდა**... გზას და **კვალს**“ (ნ. ლომ.).

**პოულობს** ზმნის კონკრეტული სემანტიკა ვერ იღუებს ობიექტად განყენებული შინაარსის სახელებს, როგორცაა: **შეფასება, მოწოდება, მოწონება...** ამიტომ ქართულისათვის არ უნდა ჩაითვალოს ბუნებრივად თანამედროვე კრიტიკულ ლიტერატურასა და პრესაში დადასტურებული ასეთი შეხამებები: „ეს ლექსები მაღალ **შეფასებას პოულობდნენ** [სწორია: იღებდნენ] იმ წლებს რუსულ პრესაში“ („ქართ. ლიტ.“); „ახალგაზრდა ვაჟა საბოლოოდ **პოულობს** თავის **მოწოდებას** [სწორია: იპოვის თავის თავს ან: მიაგნებს თავის მოწოდებას]“ („ქართ. ლიტ.“).

უსრული ასპექტის ფორმები (**პოულობს, პოულობდა**) მსგავს შესიტყვებებში გაჩენილი უნდა იყოს ამავე ზმნის სრული ასპექტის ფორმათა (**პოვებს, პოვა**) ანალოგიით, რომლებიც არაერთ ბუნებრივ შესიტყვებაში იღებენ მონაწილეობას. მაგ.: **აღიარება პოვა, ასახვა პოვა** და მისთ. ამიტომ ქვემოთ მოყვანილ წინადადებებში გამოყენებული ზმნები შეუსაბამოა არა ლექსიკური, არამედ გრამატიკული თვალსაზრისით. მაგ.: „ყოველი ნამუშევარი დიდ ინტერესს იწვევს, ხელოვნების მოყვარულთა მოწონებასა და **აღიარებას პოულობს** [სწორია: პოვებს]“ („სამშ.“); „სათანადო **ასახვას ვერ პოულობს** [სწორია: ვერ პოვებს] გიორგი მეფის ეპოქის სირთულე“ („სკ. და ცხოვრ.“).

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში გვაქვს **პოულობს** ზმნის შემცველი ფიგურალური გამოთქმა **ადგილს პოულობს / ადგილს ვერ პოულობს**, რომელიც, როგორც წესი, აუბიექტად მხოლოდ სულოერი საგნის აღმნიშვნელ სიტყვას იღუებს. ბუნებრივი ქართული მეტყველებისათვის ამ შესიტყვებაათან უსულო საგნის აღმნიშვნელი სახელის შეხამება უჩვეულოა. მაგ.: „ყველა ეს საკითხი ასე თუ ისე **ადგილს პოულობს** [უნდა იყოს: საკითხი დაისმის, ან: აისახება], ჯანმრთელობის სისტემის ზოგიერთი დარღვის მუშაობაში“ („ლიტ. საქ.“).

**პრემიერა** სიტყვასთან მსაზღვრელის ტავტოლოგიურად გამოყენების შესახებ იხ. **პირველი**.

**პროფესია** — **სპეციალობა** — **ხელობა**. განყენებული სახელი **პროფესია** ლათინურიდან მომდინარე (professio) საერთაშორისო სიტყვაა, რომელიც ქართულში სალიტერატურო ენამ რუსულის მე-

შევობით შეითვისა; აღნიშნავს მუდმივ ხელობას, საქმიანობას, რომ-  
ლითაც ადამიანი თავს იჩინებს. მაგ.: „მე პროფესიით ლიტერატორი  
ვარ“ (ილია).

თავისი შინაარსით ეს სიტყვა უახლოვდება სიტყვებს — ხელობა  
და სპეციალობა, ოღონდ მათზე უფრო ფართო მნიშვნელობის მქონეა.  
ხელობა, არა მარტო ეროვნული, ქართული ეკვივალენტია პროფესიისა  
არამედ მას, ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, შემოფარგლული აქვს  
მოსმარების სფეროც: გულისხმობს უპირატესად ხელით შრომას,  
უკეთ, ისეთ პროფესიას, რომელიც ხელის გაწაფვას მოითხოვს. ხე-  
ლობა სიტყვის ამგვარმა სემანტიკურმა შეზღუდვამ კიდევ უფრო გაუ-  
კაფა გზა პროფესიას.

რაც შეეხება სპეციალობას, ამ სიტყვით ძირითადად იმგვარი ხე-  
ლობა-საქმიანობა ივარაუდება, რომელიც საგანგებო პროფესიულ და-  
ხელოვნების მოითხოვს მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების ამა თუ  
იმ დარგში და, მაშასადამე, ამ საქმიანობაში გონების მონაწილეობასაც  
გულისხმობს (შდრ.: პროფესიით ექიმი ვარ, სპეციალობით — კარ-  
დიოლოგი).

პროფესია, სპეციალობა, ხელობა სიტყვათა განსხვავებული სე-  
მანტიკური ნიუანსები განაპირობებენ ამ სახელთა რამდენადმე გან-  
სხვავებულ სიტყვათხმარებას, რაც არსებითად ზმნებთან შეხამებისას  
ვლინდება, კერძოდ, სამივეს შეეხამება შედარებით აბსტრაქტული  
მოქმედების აღმნიშვნელი ზმნა დაეუფლება, ხოლო უფრო კონკრეტუ-  
ლი მოქმედების გამომხატველი ზმნა შეისწავლის, სწავლობს მხოლოდ  
ხელობა სახელთან იძლევა ბუნებრივ შესიტყვებას—ამ უკანასკნელის  
შედარებით კონკრეტული შინაარსის გამო. მაგ.: „მას ჩამოუყვანია  
[ი. დავითაშვილი] თბილისში, რომ რაიმე ხელობის სასწავლებლად  
მიებარებინა საღმე“ (ილია); „...ცოცხალი ყმაწვილია... ვინმე ოსტატს  
მივაბარებდი, ხელობას ისწავლის, მაღლია...“ („მნათ.“).

მაგრამ სიტყვა პროფესია-სთან შესწავლა ზმნა (შეისწავლის, შეას-  
წავლის) შეუფერებელ სინტაგმას ქმნის: „[მან] ქარხნის მექანიკურ  
სამქროში ბევრი მოწინავე მუშაკი აღზარდა და თავისი პროფესია  
შეასწავლა“ („კომ.“); „მუშებს, რომლებსაც არა აქვთ პროფესია, შე-  
საძლებლობა ექნებათ ადგილზე შეისწავლონ იგი“ („თბილ.“); „ბრიგა-  
დების 12 წევრს შესწავლილი აქვს მეორე პროფესია [ზეინკლობა,  
დურგლობა, მღებავობა და ა. შ.]“ („კომ.“).

წინადადებათა გასამართავად უმართებულო შესიტყვებები უნდა  
დაიშალოს და რომელიმე კომპონენტი სინთონიმით უნდა შეიცვალოს:  
ან პროფესიის ნაცვლად ხელობა უნდა ჩაისვას, ანდა შესწავლის, შეს-  
წავლილის მაგიერად — დაუფლება, დაუფლებული. სწორი სიტყვათ-

შეხამებებისათვის შდრ.: „მილიონობით ადამიანი დაეუფლა რთულ საწარმოო პროფესიებს, ბევრი მათგანი მოწინავე და ნოვატორია“ („კომ.“); „პროფესიას ვაუფლებით... საწარმოო კომბინატში“ („თბილ.“).

თუ შესწავლა ზმნასთან შეხამების თვალსაზრისით პროფესია და სპეციალობა განსხვავდებიან ხელობისაგან, რომელიც იგუებს ამ ზმნას (მაგ.: ხელობას ისწავლის), შეძენა ზმნასთან დაკავშირების თვალსაზრისით სხვაობა ამ სინონიმურ სიტყვებს შორის არ არის: ვერც ერთი მათგანი აღნიშნულ ზმნასთან ვერ ქმნის ბუნებრივ შესიტყვებას. მიუხედავად ამისა, ქართულ პრესაში მაინც დასტურდება ამ სახის დარღვევებიც: „სამშენებლო პროფესიები შეიძლება შეიძინონ პროფტექსასწავლებლებში... [უნდა იყოს: პროფესიებს შეიძლება დაეუფლონ]“ („ახ. კომ.“); „თუ ავადმყოფი ბავშვი დროულად შეიყვანეს სპეციალურ სკოლაში, ბავშვები... შეიძენენ რომელიმე სპეციალობას [უნდა იყოს: დაეუფლებიან, ან: მიიღებენ]“ („სოფლ. ცხოვრ.“).

სხვა სახელებთან შეძენა ზმნის შეხამების შესახებ იხ. შეიძენს.

რ

**რეზერვი** საერთაშორისო სიტყვაა (ფრანგ. *réserve* < ლათ. *reservo* ვზოგავ, ვინახავ) და განიმარტება შემდეგნაირად: 1. ჯერ კიდევ გამოუყენებელი შესაძლებლობები, რესურსები, ნატურალური, ფინანსური ან სხვა მარაგი, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებენ. ამ მნიშვნელობით იგი შედის მყარ შესიტყვებებში: **შრომითი რეზერვები, მატერიალური რეზერვები, საწარმოო რეზერვები** და ა. შ. ეს ძირითადი მნიშვნელობაა ამოსავალი სამხედრო ტერმინისათვისაც — **სარეზერვო არმია**.

მაშასადამე, რეზერვის ძირითადი მნიშვნელობაა შესაძლებლობა, მარაგი. ამ მნიშვნელობით თანამედროვე ქართულში, კერძოდ, პრესის ენაში, გახშირდა სიტყვა რეზერვის გამოყენება: „ყველგან ვაიშალა მოძრაობა... წარმოების დამატებითი რეზერვების გამონახვისათვის“ („თბილ.“); „ბრაზილიის ნაკრებს ჰყავს ძლიერი რეზერვი“ (ვ. ურჯუმ.); „ყოველი გუნდის წარმატების საწინდარი რეზერვია“ („ლელო“); „მაღალი მაჩვენებლები მოპოვებულია რეზერვების ძიება-მოქმედებით, საწარმოო ფართობის მაქსიმალური გამოყენებით“ („თბილ.“) და სხვ

რეზერვის ამგვარად გამოყენების გვერდით გვხვდება გაუცნობიერებლად გამოყენების შემთხვევები, — მის ამოსავალ მნიშვნელო-